საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/6877
22/08/2023

6877-21-2-202308221749

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

თქვენი 2023 წლის 15 აგვისტოს N30245 წერილის პასუხად, რომელიც ეხება ქალაქ გურჯაანის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის კონცეფციისა და სკრინინგის განცხადების წარმოდგენას, გაცნობებთ შემდეგს:

- სტრატეგიულ დოკუმენტსა და სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული ინფორმაცია გეგმარებითი ერთეულის ფართობის შესახებ. საჭიროა წარმოდგენილი იყოს Shp. ფაილები, სადაც ასახული იქნება როგორც სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალი, ასევე ცენტრალური ნაწილის გეგმარებითი აქცენტების საზღვრები და დოკუმენტით განსაზღვრული ფუნქციური ზონები.
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული გურჯაანის ცენტრალური ნაწილის ფუნქციური ზონირების რუკაზე ასახული ზონები არ ემთხვევა სტრატეგიული დოკუმენტის გრაფიკულ ნაწილში წარმოდგენილ რუკაზე არსებულ ფუნქციურ ზონებს.

გაცნობებთ, რომ აღნიშნული შენიშვნების საფუძველზე განახლებული სკრინინგის განცხადებისა და სტრატეგიული დოკუმენტის კანონმდებლობის შესაბამისად წარმოდგენის შემდგომ სააგენტო უზრუნველყოფს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო